572
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-5965

1982 სექტემბერი N9

ლელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი სკოლიანები



სუფევშეგრანავ დარეკეს,
თითო მიდის სკოლაში;
სახლში რჩება თოკინა,
ლეონი და გორგოლაჭი,

თაფლუნი და კოვზები,
უხმარი და ნახმარი.
სკოლის კარიან ერთან
მეგობრები ახლა.

თითო მიდის სკოლაში,
ლღუნეს ლოის მთიკარი...
ახლა უკვე ნამდვილად
თავისი ქვეა თავისი.

1982
VIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ენა

ეს ია, ეს ია,
ეს ჩემს ოჯახში ბუნია,
მთელ ოთხ ფეხზე-იაა,
ცოცხალ – ყოჩივარდა იაა.

ეს ალბ ყოფა ეგეთია –
ყოველდღეში მცენარეთია,
ეკალ-ეკალი ლერწამია,
ბაბა ბალ ნაბალ ცოცხია.

ბალიანს ცოცხალი ბალია,
ანანასზე ვენახია,
ბეჭედსავით ფოთლიანი
ბალი ფანჯარაზე ფარია.

ეკალ-ეკალ ეტყვ ბალიანს,
ეგეთ ამბავს ეტყვ ბალიანს,
ეკალ-ეკალ, ბალ ბალიანს,
ბალ ბალ ნაბალ ბალიანს!

ჯანიკო
ბოლოქავი
1982 წელი 20 ივნ.

ვაუკაცური

ერგვალ ეზოდან,
სკოლის ზარი
ბაღს გაჩერებულებს
ეძინ და გაღვიძ, –
გაიხარე,
ერგი ნუ ბაღ
ქვეყანა ოთან
გაიხარე!

ერის ოთან ყველა
დაინდოლ, ბალაგი,
ფანიაქარი,
ბრიყვი, ლაყე, –
ბაბაქალოლ
ეკლოგეულ ერგი
ეაუკაცურ
ეიმაყოდს!

ჯანიკო
ბოლოქავი

ოცნებიის ქალაქი

ნოდარ დუმბაძე

ჩემო პატარა მეგობრებო!

რამდენიმე წლის წინათ ერთი წერილი დავნერე სათაურით „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“. აი, რას ვამბობდი ამ წერილში: „რა იქნებოდა, რომ მდინარე ვერეს ხეობაში პიონერთა ქალაქი „მზიური“ აგებულ ნებინა თავისი თავშესაქცევი ქალაქის საბჭოთი და ქალაქის მერით, ქარხნებით, საამქროებით, ჰერბარიუმებით, ლაბორატორიებით, ყანებით, ბაღჩებით, ვენახებით, სპორტული მოედნებით, საცურავი აუზებით, ტრანსპორტით, გვირაბებით, ხიდებითა და სადგურებით, თავისი მატარებლით, რომელიც ივლიდა შესანიშნავი ისტორიული მარშრუტით: თბილისი-ბეთანია, თავისი დასასვენებელი სახლებით, სანატორიუმებითა და კლინიკებით.

ეს ჩვენი ოცნების ქალაქი ათასობით ბავშვს მოუტანს სიხარულს, ბედნიერებას, სიჯანსაღეს. ხალისითა და მადლიერებით აავსებს მათ გულებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით გამოიყო სახსრები ქალაქის მშენებლობისათვის, ხოლო ჩვენმა სახელოვანმა კომკავშირმა „მზიური“ თავის უპირველეს მშენებლობად გამოაცხადა. ეს სავსებით გასაგებია, რადგან საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის მიერ მიმდინარე ხუთწლედი ბავშვებთან მუშაობის ხუთწლედად არის გამოცხადებული.

ბავშვებთან მუშაობის ხუთწლედს სწორედ ასეთი ქალაქი უხდება.

და აი, „მზიურის“ პირველი რიგი მწყობრში ჩადგა. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კუთხეა გაკეთებული, მაგრამ რა ლამაზი, რა დიდებული დასანყისია. ასეთი ტემპით თუ გაგრძელდა მშენებლობა, „მზიური“ ალბათ ძალიან მალე აიგება, ხოლო მე, როგორც ჩანს, თბილისი-ბეთანიის მარშრუტით გამავალ პირველ მატარებელზე ბილეთის დაჯავშნაზე ფიქრი ახლავე მომიწევს.

მხატვარი ნანა ბურლულია

ისმინე, სწავლის მაძებნელო!

ყრმა სწავლაში მომშვილდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების...
სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.

დავით ზურაბიშვილი

ვოგონება

გიორგი ჭალადიდელი

გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,
შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება,
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა
სამშობლოს რადმე გამოადგება.

ეცადე ძლიერ და გქონდეს სმენა,—
კარგია, შვილო, სწავლის შეძენა,—
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო,
არ დაივიწყო სამშობლო ენა.

მერწმუნე, რომა გამოცდილია,—
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია!

აკაკი წერეთელი

ჩემი თავგადასავალი

ნაწყვეტი

იმ დროს შემოღებული იყო თუნუქის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდნენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდნენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს—სახაზავს დაჰკრავდნენ ხელის გულზე.

... ისე ცემა-ტყეპას ხომ ანგარიში არ ჰქონდა. ვაი მისი ბრალი, ვისაც კარგი ხუპუპი თმა ჰქონდა! ერთ ყმაწვილს, გვარად ჭაჭიაშვილს, დიდი ყურები ჰქონდა. დიდი და პატარა ყველა ყურებში ავლებდა ხელს. ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდი აახლიჩა ყური; გაუსივდა და მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ისევ დაუწყო შეხორცება. მაგრამ ვინ აცალა შეხორცება! სტაცებდნენ ხელს და ხელახლა აგლეჯდნენ... ასე რომ გავიდა სასწავლებლიდან. ერთ მოსწავლეს—კლდიაშვილს—პირით დაჰკრა შუბლზე „ლინეიკა“ და თავთხლე გადაადინა, ძვალიც კი გაუტეხა. გულშემოყრილი ბავშვი შინ წაილეს. ამ გარემოებისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. ამისთანები რამ უთვალავი იყო. ღვთის მადლით, მე ამციდა ტანჯვა და ერთხელ მეტად არ გავლახულვარ, მაგრამ ეს ერთიც საკმაო იყო, მთელი ჩემი სიცოცხლე მოეტანჯა!

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ბ ა დ ო ნ ი

ზურაბ ლეშკაშელი

ორლობეში ჯერ მოსწავლის თეთრი წინსაფარი გამოკრთა, მერე გოგონაც გამოჩნდა. მორბოდა, ხელებს აქნევდა, გაწეწილ თმაზე პეპელასავით უფრიალებდა თეთრი ბაფთა.

— არ წაიქცე, გოგო! — გასძახა მამამ და თვითონაც ნაბიჯს აუჩქარა.

ყოველ საღამოს ასე ხვდებოდა ნანუკა ქალაქიდან შინ დაბრუნებულ მამას, კისერზე ჩამოეკიდებოდა და ათას რამეს ეტიტინებოდა.

— იცი, მამიკო, დღეს დაგვითხოვეს, მესამე კლასში გადავედი.

მამამ გაიხარა, მაგრამ ისიც შენიშნა, რომ მის გოგონას რაღაც საზრუნავი გასჩენოდა.

— კიდევ, კიდევ რა მოხდა? — ჩაეკითხა ალერსიანად და თვალებში ჩახედა.

— კიდევ... წიგნები ჩავაბარეთ სკოლის ბიბლიოთეკას. ჰოდა, ჩემი ნაქონი „დედაენა“ და „მათემატიკა“ ყველას მოეწონა. მასწავლებელმა თქვა: ვინც მერმის მეორე კლასში იქნება და ნანუკას წიგნებს მიიღებს, ვერც კი მიხვდება, რომ ნახმარიაო. ავთომ და თენგომ კი სახელმძღვანელოები აღარც კი გამოაჩინეს, დავკარგეთო, თქვეს. ყველაზე გასაბრაზებელი ის არის, რომ გაუგებლები არიან, ჯარიმას გადავიხდით და ეგ იქნებაო, სამ-სამ აბაზს მოვიტანთო...

— სამ-სამ აბაზს რატომო? — გაუკვირდა მამას.

— წიგნებს ოცი კაპიკი აწერია, ჩვენ კი სამჯერ მეტს გადავიხდითო, აუჩემებიათ.

— მერე ვერ დაარწმუნე, რომ ცდებიან?

— როგორ დამერწმუნებინა?! თენგოს დედას უთქვამს, სახელმწიფოს მაგისთანა ოცკაპიკიანი წიგნებით არაფერი დააკლდებაო.

მამა დაფიქრდა, გაკეცილ ჟურნალ-გაზეთებს, ხელში რომ ეჭირა, ერთხელ კიდევ დახედა და თითქოს იქ ამოიკითხა პასუხი.

— მოდი, ნანუკა, ასე გავაკეთოთ — ჩვენთან, სამსახურში ექსკურსიაზე მივიწვევ შენს კლასს.

ორი დღის შემდეგ, დილაადრიან საგარეუბნო მატარებელი ნანუკასა და მის თანაკლასელებს დედაქალაქისაკენ მიაქროლებდა.

ერთ დიდ, ფართოფანჯრებიან შენობას მიადგნენ.

— აი, აქ იბეჭდება წიგნები, — უთხრა ბავშვებს მასწავლებელმა.

— აგერ, იაკობ გოგებაშვილი, — დერეფანში მიმავალმა ნანუკამ კედელზე გამოკიდული სურათებისაკენ გაიშვირა ხელი და ყველანი იქით გაახედა.

— ასეთი სწავლული ძიები ახლაც არიან, — მიუბრუნდა ბავშვებს ნანუკას მამა, — ისინი სხვადასხვა წიგნებს წერენ მოსწავლეთათვის და აი, აქ მოაქვთ ხელნაწერები. აქ მათ ხვდებიან რედაქტორები ანუ ადამიანები, ვინც ასწორებენ ამ ხელნაწერებს და სტამბაში აგზავნიან .. სტამბა კი აი, აქ არის, — კაცმა იმ კარისაკენ წაიყვანა მოსწავლეები, რომლის ყოველ გაღებაზე ხმაური მოაწყდებოდა ხოლმე დერეფანს.

ყველანი საამქროში შევიდნენ.

— ეს ლინოტიპია, — ნანუკას მამამ ერთ მანქანასთან შეაჩერა ბავშვები.

მანქანასთან თეთრთმიანი ქალი იჯდა, წინ ხელნაწერი ედო. ქალი საბეჭდი მანქანის მსგავს კლავიშებზე სწრაფად ამოძრავებდა თითებს.

— ხედავთ, ბავშვებო, რა ხდება? ეს დეიდა კითხულობს ავტორის ტექსტს და ამ კლავიშების მეშვეობით მანქანას უმეორებს სიტყვებს, მანქანა „იხსომებს“ და გამდნარი ლითონით ყალიბში ასხამს მთელ ტექსტს. ამას ჰქვია ანყობა.

ამის თქმა იყო და მუშამ ლითონში ჩამოსხმული სტრიქონები მწყობრად დაალაგა გაზეთილ რკინის დაფაზე და სადღაც წაიღო.

— ეგ კაცი მეკაბადონე გახლავთ. ახლა მაგასთან ლითონის სტრიქონები წიგნის ფურცლის ზომაზე, ანუ კაბადონის ზომაზე უნდა დალაგდეს, — უთხრა ბავშვებს ნანუკას მამამ და იმ მაგიდისაკენ წაიყვანა, სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაც მეკაბადონეები შრომობდნენ. აქ ენყო წიგნის, ჟურნალისა და გაზეთების გვერდების ზომაზე შეკრული შრიფტი. მუშები ზედ სუფთა ქაღალდის ფურცლებს აფენდნენ, გაატარებდნენ რბილქსოვილგადაკრულ გორგოლაჭს, და ქაღალდზე ჩნდებოდა პირველი ანაბეჭდი ტექსტი.

— ამ ანაბეჭდებს, ბავშვებო, — განაგრძო ნანუკას მამამ, — კვლავ რედაქტორებს და კორექტორებს უგზავნიან შეცდომების შესასწორებლად, ერთხელ, მეორედ, მესამედ. მხოლოდ იმის შემდეგ ანერენ ხელს დასაბეჭდად, როცა დარწმუნდებიან, რომ ყველაფერი რიგზეა. მერე კი ანაბეჭდი საამწყობო საამქროდან საბეჭდ საამქროში გადადის.

წამით შეჩერდა ნანუკას მამა, — ყველაფერი გასაგებიაო? — იკითხა და ახლა მეორე საამქროსაკენ გაუძღვა ბავშვებს.

აქ სულ სხვაგვარი მანქანები მოჩანდა და ხმაურიც უფრო დიდი იდგა. ერთგან დიდ

ლამაზ ფურცლებზე ფერადნახატებიანი საბავშვო ჟურნალი იბეჭდებოდა. ყველაზე ძალიან ავთო და თენგო ყელყელაობდნენ, ყველაფერი აინტერესებდათ.

— ეს დიდი ქაღალდი, ბავშვებო, უნდა დაიკეცოს, კიდეები ჩამოეჭრას და წიგნებად აიკინძოს, — უთხრა მათ ნანუკას მამამ და ახლა საამკინძაო საამქროსაკენ წაიყვანა პატარები.

აქაც ბლომად ხალხი მუშაობდა.

ჭკვიანი მანქანები ფურცლებს კეცავდნენ, კიდეებს აჭრიდნენ და კინძავდნენ. აკინძულ ფურცლებს ლამაზ ყდებსაც აკრავდნენ, და ასე ჩნდებოდა „დედაენა“ და „რუსკოე სლოვო“, „მათემატიკა“ და „ბუნება“.

— აი, ეგ ვეება ქაღალდის რულონები, თითო რომ რამდენიმე ტონას იწონის, ციმბირიდან არის ჩამოტანილი და წიგნებს ხმარდება, — ნანუკას მამამ აგორებული ქაღალდის რულონებისაკენ გაახედა პატარები. ყოველი რულონი კაცზე მაღალი მოჩანდა.

ბავშვები შეცბუნებულები ათვალიერებდნენ იქაურობას.

ნანუკას მამა კი განაგრძობდა:

— ხედავთ, რამდენი ადამიანი შრომობს, საიდან მოაქვთ ქაღალდი! ასევე შორიდან ჩამოაქვთ საღებავი, საგარეკანო მუყაო, ნებო და ლითონი ასაკინძად; ამის შემდეგ წიგნმა კიდევ უნდა გაიაროს გზა საწყობამდე, მერე კი მანქანითა თუ მატარებლით თქვენამდე, სკოლამდე მოაღწიოს.

ხედავთ, რამდენ ადამიანს, რამდენ სწავლულს, მუშას, მეცნიერსა და საგამომცემლო საქმის სპეციალისტს უნდა გადაუხადოს სახელმწიფომ ხელფასი! ასე რომ, თუ კარგად ვიანგარიშებთ, თქვენი ყოველი წიგნი ოცი კაპიკი კი არა, ბარე ორი მანეთიც ღირს.

— მაშ, რატომ აწერია ოცი კაპიკი? — წაიბუზღუნა თენგომ.

— ნუთუ ძნელი მისახვედრია? აბა, წაიკითხე იმ კედელზე რა წერია! — მასწავლებელმა საამქროს კედელზე გაკრული ლოზუნგებისაკენ გაახედა ბიჭები.

— „ყველაფერი საუკეთესო—ბავშვებს!“— კიაფობდა ლამაზი წარწერა. ავთომ და თენგომ თავი ჩაღუნეს.

— საუკეთესო, და თანაც თითქმის უფასოდ. როგორი საქმეა?! — დასძინა ნანუკას მამამ, ღიმილით დაემშვიდობა ბავშვებს და თავისი საამქროსაკენ გასწია.

მასწავლებელი გასასვლელისაკენ წაუძღვა ბავშვებს. ისინი ახლა სულ სხვა თვალით უცქერდნენ ლამაზყდიან წიგნებს.



მხატვარი ედუარდ აბზიანაძე

ჩემო საამაყო მხარე



ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენს წინ საქართველოს რუკაა. ამ რუკაზე სულ 33 ადგილია აღნიშნული, იმდენი, რამდენი ასოც არის ქართულ ანბანში. ყოველ ასოზე დაწყებული მხოლოდ თითო ადგილია აქ მინიშნებული, და თქვენთვის მოგვინდვია ანბანის მიხედვით ჩამოწერ-ჩამოამწკრივოთ ეს დასახელებები. მერე თითოეულს გვერდით მიუწერეთ იმავე ასოზე დაწყებული სხვა სახელები— ქართული სოფელ-ქალაქების, მთების, ტბა-მდინარეების, სახელგანთქმული ძეგლების... გაიხსენეთ, უფროსებს ჰკითხეთ ან სადმე ამოიკითხეთ, რით არის შესანიშნავი ეს ადგილები და ფრჩხილებში მიუწერეთ ეს ცნობები ადგილების სახელწოდებებს.

მაგალითად, **ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ** (მაღალმთიანი კურორტი, ასტროფიზიკური ობსერვატორია...); **ᲐᲑᲐᲨᲐ** (....), **ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲘ** (.....); **ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ** (.....); და ა-ზე დაწყებული სხვა სახელები.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ (აჭარის დედაქალაქი, საქართველოს საზღვაო კარიბჭე, ზღვისპირა კურორტი...); **ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ** (.....); და სხვა გეოგრაფიული სახელები, და ასე შემდეგ...

რამდენი რამ არის შესანიშნავი ჩვენს მხარეში. აბა ჩაფიქრდით და გაიხსენეთ!

თენგიზ ჩალაური

ხათაბალა

ხათაბალას თუ იცნობთ? არა? ძალიან ბევრი დაგიკარგავთ, აბა ეგ როგორ შეიძლება?!

ჩვენს სკოლაში მის მსგავს ონავარს, მოუსვენარსა და ცუღლუტს მეორეს ვერ ნახავთ. თუმცა ეგ რა სათქმელია, მთელ ქალაქშიც კი არ მოიძებნება ბადალი, ყოველგვარი ოინბაზობა, აყალმაყალი და დავიდარაბა მისი მოგონილია, ხათაბალაც მაგიტომ შეარქვეს მეტსახელად.

დიდი არ გეგონოთ, ათი წლის ბიჭია, ცხვრმოღრეცილი, ჭორფლიანი და ზღარბივით აბურძგნილი. ტანითაც წრიპაა, გაწნიკული. გოგონების დაუძინებელი მწვალებლისა და მოძულის სახელი აქვს გავარდნილი. ბიჭებთანაც ხშირად მოსდის ჩხუბი, მაგრამ არც ისინი აკლებენ, ხან თვალი აქვს ჩალურჯებული და ხან ტუჩი გადმობრუნებული, მაგრამ გონს მაინც ვერ მოდის, ჭკუას ვერ სწავლობს.

დილიდან დაღამებამდის იმას ცდილობს, ვის რა უხიმანდროს და ვინ როგორ გააბიაბრუოს, ხან ზღვის გოჭს მოათრევს სკოლაში, ფეხსაცმლის ლაქით შეღებავს და ნელი მასწავლებელს, საშინლად რომ ეშინია ვირთხებისა, მაგიდაზე დასკუპებულს დაახვედრებს, და ააკივლებს, ზოგჯერ წითელ წიწაკას დაწვავს კლასის ღუმელში და გაკვეთილს ჩაშლის, ან ყველას უჩუმრად წებოს წაუსვამს მერხის საზურგეს და რომელიმე ბიჭს საშრობი ქაღალდივით მიაკრავს. მოკლედ, ნამდვილი ხათაბალაა, არც დასჯა შველის, არც წყრომა და აღარც მშობლების დაბარება.

სიმკაცრით განთქმულ ნელი მასწავლებელსაც კი უჭირს მისი მორჯულება, წულაძე, ნუ უსტვენ, წულაძე, რატომ ცელქობ, მოისვენე, დაწყნარდი, გაკვეთილის ჩატარებაში ხელს ნუ მიშლიო, გამუდმებით უკიჟინებს, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი, არაფერი შველის.

იმ ავყიას გამო ამ რამდენიმე დღის წინ უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩავარდა ჩვენი მასწავლებელი. ბავშვებისაკენ ზურგშექცეული დაფაზე დავალებას გვიწერდა და უცებ — ხათაბალავ, მერხს ნუ აჭრიჭინებო, — იყვირა, — ის კი დირექტორს ყავდა იმ დროს დასასჯელად გამოძახებული, და ყველანი რომ ავკისკისდით და ავხარხარდით, მაშინღა მიხვდა მასწავლებელი შეცდომას და პატარა ბალღივით განითლდა.

ყველაზე უმეტესად ხათაბალას მაინც თამრიკო თაგბერიძე ყავს ამოჩემებული და გამწარებული, რადგან კლასის საუკეთესო მოსწავლეა და ამასთანავე ჩუმი და უთქმელი. უფრო კი იმიტომ აწამებს, რომ ერთხელ კლასის დამრიგებლის წერილი მიუტანა ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაბალას მშობლებს — ისინი ხომ მეზობლები არიან —და იმ ბარათის გამო იმ ჩხუბისთავსა და უხიაგს გვარიანად დაუგრძელეს ყურები. იმ დღის შემდეგ ხან ნაწნავით მიალურსმავს მერხს საცოდავ თამრიკოს და ხან მელნით მოუზუზნავს ბაფთასა თუ ახალ კაბას, ერთხელ ძლოკვიც კი ჩაუსვა ჩანთაში და გული გაუხეთქა. მაშინ იყო, თამრიკოს ბებია სახანძრო რაზმის მანქანასავით კივილ-კივილით რომ მოვარდა, ან ჩემი შვილიშვილი გადაიყვანეთ სხვა კლასში ან ეგ შერეკილი გარიცხეთ სკოლიდანო.

გასულ კვირას კი უცნაური და დაუჯერებელი რამ მოხდა. მასწავლებელმა საკონტროლო წერაში თავისუფალი თემა მოგვცა — „ჩემი საუკეთესო მეგობარი". თანაც ნლიურ ნიშანს ამ თემით მიიღებთო, ესეც გამოგვიცხადა და, რაღა თქმა უნდა, ყველა გულმოდგინედ ვეცადეთ საუკეთესოდ შეგვეთხზა.

მეორე დღეს ნელი მასწავლებელი ძალიან დაფიქრებული და შეწუხებული შემოვიდა კლასში, რვეულები დააწყო და კარგა ხანს ჩაფიქრებული იჯდა, შემდეგ — მხოლოდ ორ ნამუშევარს ნაგიკითხავთო,—გვითხრა — ამდენი ხანია პედაგოგი ვარ და ამგვარი რამ არასოდეს შემხვედრიაო.

პ ი რ ვ ე ლ ი თ ე მ ა:

„მე მეგობარი არ მყავს და ალბათ, არც არასოდეს მეყოლება, იმიტომ, რომ მახინჯი ვარ, უნიჭო და ცუღლუტი. ყველას ვეჯავრები და ვძულვარ, ნელი მასწავლებელსაც კი. ამიტომაც მტუქსავს და მიწყრება გამუდმებით. არც ბავშვებს ვუყვარვარ, ჩემთან არავინ ამხანაგობს, ყველა მერიდება და გამირბის.

მეც მეტი რა გზა მაქვს, სამაგიეროს ვუხდი, ზოგს ვეჩხუბები, ზოგს ვანვალებ და ვაბრაზებ, არც მასწავლებელს ვინდობ.

მე რომ მეგობარი მყავდეს, იმისი გულისათვის ცეცხლშიც კი ჩავვარდები".

ნელი მასწავლებელმა კითხვა დაამთავრა და ამოიოხრა. კლასში საოცარი სიჩუმე იდგა, ყველა მივხვდით, თემა ვისი დანერილიც იყო.

მხატვარი ლადო ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა ასე ფიქრობ, ნოდარ? — ჰკითხა მასწავლებელმა ცოტა ხნის შემდგომ.

ხათაბალა სარგადაყლაპულივით იჯდა და ოთახის კუთხეში ობობას ქსელში გახლართულ ბუზს შესცქეროდა.

კითხვა კი გაიგო, მაგრამ პასუხი არ გასცა, მხოლოდ უხმოდ დააქნია თავი თანხმობის ნიშნად.

— კეთილი, — წყენით თქვა ნელი მასწავლებელმა, — ახლა სხვას წაგიკითხავთ.

მ ე ო რ ე თ ე მ ა:

„მე ძალიან ბევრი კარგი ამხანაგი მყავს, მაგრამ ჩემს საუკეთესო მეგობრად მაინც ნოდარ წულაძეს ვთვლი, თუმცა იგი ხშირად მაბრაზებს, ამასთანავე ცელქია და მოუსვენარი, მაგრამ ეს ისეთი ნაკლი არ არის, რომლის გამოსწორებაც არ შეიძლებოდეს.

სამაგიეროდ ნოდარი ჩვენს კლასში ყველაზე გულადია, ამასთანავე პატიოსანიც, და მუდამ მზად არის სხვის დასახმარებლად.

ერთხელ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სკოლის კართან მეოთხეკლასელმა ბიჭმა გოგონებს უზარმაზარი ნაგაზი მოგვიქსია. ყველანი გავიქეცით, ის ძაღლი კი რატომღაც მე გამომეკიდა ღრენით, კაბის კალთაში მწვდა და წამაქცია. ჩვენებიც და სხვა უფროსკლასელი ბიჭებიც ადგილზე გახევდნენ, მოშველება ფიქრადაც არავის მოსვლია, რადგან, ვგონებ, ჩემზე მეტად შეშინდნენ. მაშინ იყო, ხათაბალა რომ მოვარდა, ძაღლს ცხვირში ჩანთა ჩასცხო და კუდამოძუებული გააქცია. მე მაშინ მადლობის თქმაც კი ვერ მოვახერხე და შემდეგ არც თვითონ შეუხსენებია როდისმე.

მართალია იგი ცუდად სწავლობს, მაგრამ იმიტომ, რომ ზარმაცია და უგულისყურო, მათემატიკაში კი ნამდვილად ყველაზე ნიჭიერია.

ამას წინათ ერთ ჩვენს ამხანაგს მაგალითები გამოუყვანა და ჩუმად გადააწერინა, თავად ვეღარ მოასწრო და ორიანი მიიღო. ესეც არავისთვის გაუმხელია.

ნელი მასწავლებელსაც ძალიან უყვარს, რამდენჯერ უთქვამს, წულაძე რომ ასეთი ცულლუტი არ იყოს, მეორე მაგისთანა ბიჭი სკოლაში არ იქნებოდაო.

მე მჯერა, რომ როდისმე ნოდარი გამოიცვლის ხასიათს და კარგი მოსწავლე გახდება, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, იგი მაინც ჩემი საუკეთესო მეგობარი იქნება“.

თამრიკო თავვერიძე. — ხმამაღლა გამოაცხადა ნელი მასწავლებელმა და კვლავ გაჩუმდა.

რაღა თქმა უნდა, ყველამ ისევ ხათაბალას შეეხედეთ.

გაოცებული და გაოგნებული იჯდა, თვალებში კი ცრემლები ედგა, და სიმწრით ტუჩს იკვნეტდა. ჩვენი მზერა რომ იგრძნო, წამოხტა და კარისაკენ გაიქცა, მაგრამ იქ ნელი მასწავლებელმა ნამით შეაჩერა და თამრიკოს რვეული გაუწოდა.

— წაიღე და სამუდამოდ გაუფრთხილდი, — მშვიდად უთხრა, — სკოლას რომ დაამთავრებ, გამოსაშვებ საღამოზე წაგვიკითხე.

მეორე დღეს ხათაბალა სკოლაში არ მოსულა.

მესამე დღეს კი ჩუმად შემოიძურწა და კუთხეში მიიყუჟა.

აგერ ერთი კვირა სრულდება, გალურსული ზის, კრინტს არ ძრავს, ყველა საგანში ხელს იწევს და გაძახებას ითხოვს.

საოცრება თუ გაგიგონიათ, სწორედ ეს არის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლილის“ საგამოფენო დარბაზი

თამარიკო ყვარცხავა. „ჩვენი სოფლის ოფისი“

ვ. ივანოვა. ხიხუში, V კლ. „ბაკვეთილი“

მარინე აფციაური. „სკოლა“

მხატვარი ზურაბ ფოტრჩხიძე

ტროლეიბუსი არა და არ გამოჩნდა.



ბოცო პირველად მიდიოდა სკოლაში. დილა-ადრიან გაიღვიძა, ჩაიცვა, ისაუზმა და უფროს დასთან ერთად სახლიდან გავიდა.

საგონებელში ჩავარდნილი და-ძმა შემთხვევით დაინახა მანქანით მიმავალმა ძია კოტემ.



ნინოს ყვავილები მიჰქონდა. ბოცოს ჩანთა ჩაებღუჯა. რატომღაც ზურგზე მოკიდებას ხელში დაჭერა ამჯობინა.

გვიანღა იყო, მანქანა უკვე შორს მიჰქროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„სიჩქარეში ჩანთა მანქანაში დაგვრჩა, თუ შეიძლება გვაპატიეთ.“ — მასწავლებელმა თავჩაქინდრული ბოცო ფანჯარასთან პირველ მერხზე დასვა.

ისინი ერთ მერხზე ისხდნენ და ალბათ ამიტომ შემდგომში დიდი მეგობრები გახდნენ.

ყველამ თავისი წიგნი გადაშალა, მხოლოდ ბოცო დარჩა უწიგნოდ მთელ კლასში.

თვალებზე ცრემლმომდგარ ბოცოს გვანცამ წიგნი მიუჩოჩა.

რა თქმა უნდა, კლასში ყველა ბავშვს ერთნაირი წიგნი ჰქონდა. მაგრამ ბოცოს თავისი წიგნი უკეთესი ეგონა.



უეცრად ფანჯრიდან ბოცომ ძია კოტე დაინახა — სკოლის ეზოში მოაბიჯებდა და ხელში მისი ჩანთა ეჭირა. გახარებული ბოცო ფეხზე წამოხტა.



მასწავლებელმა ბოცო ჩანთის მოსატანად გაუშვა. ცოტა ხნის შემდეგ ბედნიერი ბოცო მერხზე იჯდა და გადაშლილ წიგნს ყურადღებით ჩასცქეროდა.

როგორ ფიქრობთ, ბავშვებო, სხვა დროს კიდევ დარჩება ბოცოს ჩანთა?

სექტემბრის ზარი

ლექსი **გივი ჭიჭინაძისა** მუსიკა **მერი დავითაშვილისა**

ქრის, ქრის, ქრის
ქარი სექტემბრის,
ფარფატელა ჭადრის
ფოთოლს
მოაქანებს ძირს.
ვის მოუხმობს, ვის?
ზარი სექტემბრის?
ნაუ, ნაუ, ნაუ, ნაუ:
ყველა სწავლის გმირს.

ნაუ, ნაუ, ნაუ, ნაუ,
— ზარი სექტემბრის,
ნაუ, ნაუ, ნაუ, ნაუ,
— უხმობს სწავლის გმირს!

ფრი, ფრი, ფრი,
ჩიტი ტოტზე ზის,
გასაფრენად ემზადება
მომღერალი მზის.

იმ ჩიტივით ჩვენც
ძლიერ ვღელავთ დღეს.
— ნაუ, ნაუ, ნაუ, ნაუ, —
გული ლხენით ძგერს.

— ნაუ, ნაუ, ნაუ, ნაუ, —
ზარი სექტემბრის,
ნაუ, ნაუ, ნაუ, ნაუ, —
უხმობს სწავლის გმირს!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიები





თუ წვიმიან ტუბს თავსაცობი მიახმა, მის მოსახრახნად სარეცხის საპერი იხმარე.



თექვსმეტი საანგარიშო წკირით ასეთი ფიგურა გააკეთე. როგორც ხედავ, იგი რვა სამკუთხედისაგან შედგება. ახლა ამ ფიგურას მოაცილე ოთხი წკირი ისე, რომ ოთხი სამკუთხედი-ღა დარჩეს.

ეს ლურჯი უჯრედები შეავსე სკოლასთან, სწავლასთან, წიგნთან დაკავშირებული სახელებით ისე, რომ წითელ უჯრებში შვეულად წაიკითხოს სიტყვა—„მასწავლებელი“.

ყდაზე ნახატი ლადო ტატიშვილისა

საქართველოს ა.ლ.კ.ყ. ცკ-ის და ვ. ი. ლენინის ხალხების პიონერთა ოგანიზაციის რესპუბლიკური ხუბავის ეუფნალი ეგზარხალალებლებთვის

გამოიცემის წლ-ე წელი

სგ. კა ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ენვერ ნიუარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ავბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური ბოგვიაშვილი, სოლომონ დადუბანიშვილი, ლეონილა ირაძე, მანანა კოპაიძიძე, ბელა ლოსაბერიძე, მაკვალა მრევლიშვილი, ჯუბანა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ბიბი ძნელაძე, მანანა ხარაძე, ბიბი ჯიფიანაძე

ტექნიკური რედაქტორი ენდო წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15. პ/ფუ მდივნის — 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; გაბეჭდ. 93-98-19;

გადაეცა ასაწყობად 5/VII-82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IX-82 წ., ქაღალდის ზომა 6 ×10¹/₈ ფიზ. ნაბ. თაბაგი 2,5, ტირაჟი 168.500. შეკ. № 1697. „Дидо“ № 9. журнал для младшеклассников.

6 120/270

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76055

ხითხითელა

ხვაღ პირველი სექტემბერია.

ჯერ მწარე ჭამე...

— არ მიდიხარ სკოლაში?
— პაპაჩემი მიდის, სულ ერთია, მაინც ეგ ამბავებს ჩემს გაკვეთილებს.

მშვიდობით, იარაღო!

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე